

ატენის სიონის რესტავრატორ-ხელოსანთა  
კორტრეტული ქანდაკებები

ატენის სიონის დეკორაციული სისტემის შესწავლის პროცესში გაირკვა, რომ ტაძრის ფასადებსა და გუმბათის ყელზე სხვადასხვა დროს მოხვედრილა სტილისტურად არაერთგვაროვანი, სამი სხვადასხვა პერიოდის ქანდაკებები. მათგან უძველესია V ს-ის ოთხი რელიეფი, რომლებიც VII ს-ის მეორე ნახევარში აგებული ტაძრის — ატენის სიონის დეკორში მეორედ გამოუყენებიათ. სიონის სინკრონული, VII ს-ის მხოლოდ ორი ქანდაკება შემორჩა. ამის მიზეზია X ს-ის დასასრულს ბალუშთა ფეოდალური სახლის ქტიტორობით აქ ჩატარებული ფართო სარესტავრაციო სამუშაოები, რომლის დროსაც არაერთი სკულპტურა განუახლებიათ და ახლით შეუცვლიათ. დღეისათვის ატენის სიონის მეორე სამშენებლო პერიოდის კუთვნილია რელიეფთა დიდი ნაწილი და მათი საერთო რაოდენობა ოცდაორია. ცნობილია, რომ ამ სარესტავრაციო სამუშაოების მწარმოებელი ყოფილა ეროვნებით სომეხი ხელოსანი — თოდოსაკი, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში ატენის სიონის არქიტექტორად იყო მიჩნეული.<sup>1</sup> ატენის სიონის მეორე სამშენებლო პერიოდის — X ს-ის მიწურულის მრავალრიცხოვან ქანდაკებათა შორის ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტების შემცველი რამდენიმე რელიეფის გვერდით ცამეტი საერო პირია გამოსახული. მათ შორის თოდოსაკის ამქრის სამი ოსტატ-ხელოსნის პორტრეტული ქანდაკებებიცაა ჩართული.



სურ.1. ატენის სიონი. გრიგორ დაძის რელიეფური ქანდაკება

გ. ჩუბინაშვილმა ატენის სიონის ყველა რელიეფური ქანდაკება VII ს-ის პირველი ნახევრით განსაზღვრა. ამდენად, ჩვენი განსახილველი სამი რელიეფიც, მკვლევრის მოსაზრებით, VII ს-ის ძველბოა<sup>2</sup>.

1. გუმბათის ყელის აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალურ წახნაგზე, საკმაოდ მაღლა, თითქმის კარნიზის ქვეშ, მოთავსებულია ორფიგურიანი რელიეფი (სურ.1). მომწვანო ფერის, თექმის ტუფის ქვის ოთხკუთხა ფილაზე, რომელსაც მარცხენა, ზედა კუთხე წატეხილი აქვს, ორი ფიგურაა გამოქან-

დაკებული. მარჯვნივ, მთელი ტანით, ფრონტალურად გამოსახულია შარავანდმოსილი წმინდანი, როგორც ვარაუდობენ, სტეფანე დიაკონი<sup>3</sup>, რომელსაც მარცხენა ხელით გადაშლილი წიგნი უჭირავს, მარჯვენა, განზე გაწვდილი ხელი კი

<sup>1</sup> Абрамишвили Г.В. Два строительных периода Атенского Сиона. „მაცნე“. ისტორიის სერია. №1 თბ, 1972. გვ.32-55.  
<sup>2</sup> Чубинашвили Г.Н. Памятники типа Джвари.

Исследование по истории грузинского искусства. Тб., 1948. с.156-77.  
<sup>3</sup> იქვე გვ.157, 169, 170.

მის წინაშე ვედრებით მუხლმოყრილი საერო პირისთვის კურთხევის ნიშნად თავზე აქვს დადებული. ფილის მარცხენა, ზედა მონაკვეთზე სომხური, ასომთავრული, განმსაზღვრელი წარწერაა ხუთ სტრიქონად: ԳՐԻԳՐԻ ԴԱՏՄ — „გრიგორ დას“. მოქანდაკეს წვერწატებილი ქვის ფილის დეფექტის გათვალისწინებით წარწერა გაუნაწილებია ქვის ზედაპირზე. მარაგანდმოსილი წმინდანის გადაშლილ წიგნზე კი ამოკვეთილია ქართული, ნუსხური ერთსტრიქონიანი წარწერა: ԸՄՄ ԿՂ ԻՆ ԿՂ — „წ(მიდა)ო შ(ემბ)წყალ(ე) მ(ონა)ღ იც“ (?) (სურ. II).



სურ. II. ატენის სიონი. ქართული წარწერა დიაკონის კოდექსზე

გ. ჩუბინაშვილმა თავის დროზე ამ რელიეფს ორი იკონოგრაფიული პარალელი დაუძებნა: ერთი — მცხეთის ჯვრის სამხრეთ ფასადზე ორფიგურიათა კომპოზიცია — სტეფანე დიაკონის წინაშე ვედრებით მუხლმოყრილი ქობულ — სტეფანოზი (სურ. III) (შ. ამირანაშვილით, ქობულ — სტრატეგიატი)<sup>4</sup>. მეორე პარალელი კი თვით ატენის სიონში, ტაძრის ჩრდილოეთ ფასადის შეერილზეა მოთავსებული<sup>5</sup> (სურ. IV).

გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით, ატენელი მოქანდაკე ბაძაეს მცხეთის ჯვრის ქობულის ქანდაკებას და ატენის სიონის ორფიგურიათა ამ ორ

რელიეფზე მავედრებულ პირებს სტეფანე დიაკონის წინაშე გამოსახავს ისევე, როგორც ეს მის მაგალითში, მცხეთის ჯვარშია შესრულებული. თუ მცხეთის ჯვრის რელიეფზე იმ ხანის ერთ-ერთი დიდგვაროვანი ფეოდალი აღიბეჭდა, მაშინ საფიქრებელია, რომ ატენის სიონშიც VII ს-ის ქტიტორი გამოაქანდაკეს. გ. ჩუბინაშვილის რწმენით, გრიგორ დასი ოსტატი ხელოსანია<sup>6</sup> და ეს თვალსაზრისი მისაღებად მიგვაჩნია.



სურ. III. მცხეთის ჯვარი. ქობელის რელიეფური ქანდაკება

რა შეიძლება ითქვას ამ რელიეფთა შესახებ, რომლის მაგალითიც უდავოდ მცხეთის ჯვარია. ვფიქრობთ, საილუსტრაციო მასალაც კმარა, რომ მათი სტილისტური არაერთგვაროვნება დაფინახოთ. ცხადია, მცხეთის ჯვრის ქანდაკება ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ. მაშინ არ გავვიჭირდება შევნიშნოთ, რომ ატენის სიონის ორფიგურიათა სკულპტურა დიდად ჩამოუვარდება მის მაგალითს (შეად. სურ. I და III).

ატენის ქანდაკება შედარებით მარტივად

<sup>4</sup> შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. 1. ობ., 1944. გვ. 170.

<sup>5</sup> Чубинашвили Г. Н. Памятники ... с. 158, 169, 170.

илл. 58(2).

<sup>6</sup> იქვე გვ. 157-70.

არის შესრულებული. მის სამოსზე მსუბუქად აღინიშნება დრაპირება, რითაც მკვეთრად განსხვავდება მცხეთის ჯვრის ქობულისაგან, სადაც ხაზგამსული სიძლიერით აღინიშნება სამოსის დეკორაციული ელემენტები. მცხეთელი მოქანდაკე ვერტიკალური და ტეხილი ხაზების რიტმით აღწევს გარკვეულ გამომსახველობას და სრულიად მიზანდასახულად ცდილობს შექმნას პლასტიკურ ფორმათა ილუზია. ფაქტობრივად, ქობულის ქანდაკების მხატვრული ეფექტის ამოსავალი დეკორაციულობაა, რაც მოქანდაკის მხატვრულ ამოცანას წარმოადგენს. ეს კარგად ჩანს ფიგურათა როგორც შესამოსლის, ისე თმა-წვერის გამოხატვის ხერხებში, მანიაკისა და ქობის გამორჩეულ დეკორატიულობაში.

გრიგოლ დაპსის ქანდაკება არსებითად განსხვავდება ზემოთ განხილული რელიეფისაგან. პირველი შთაბეჭდილება ის არის, რომ მისი ავტორის ძირითად მიზანს პლასტიკურ ფორმათა გადმოცემა შეადგენდა. აქ აღარ ვხედავთ მცხეთის ჯვრისა და ატენის VII ს-ის მოქანდაკეთა მსგავს მიდგომას მხატვრული ამოცანისადმი, ნათლად შეგარძნობა სტილისტური არაერთგვაროვნება, მიუხედავად იმისა, რომ სამივე რელიეფი შესრულების სხვადასხვა დონეს გვიჩვენებს. მათ შორის გრიგორ დაპსის ქანდაკება უდავოდ პრიმიტიულობის ნიშნით არის აღბეჭდილი, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ამ ნაწარმოებში ჩანს ეპოქის სტილი. ფიგურები სტატიკურია, მათი სახეები მოკლებულია ყოველგვარ ემოციურობას, შეინიშნება უზუსტობა პროპორციაში. გ. ჩუბინაშვილის დასკვნით, X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის დასაწყისის ახალ მხატვრულ ამოცანას — გამოსახულების პლასტიკურად გადმოცემის მიზანდასახულებას მსხვერპლად შეეწირა პროპორციულობა, მოძრაობა, ემოციურობა<sup>7</sup>.

ყველა ის სტილისტური ნიშანი, რაც დამახასიათებელია X და XI სს-ის მიჯნის ქანდაკებისათვის, მკაფიოდ აისახა გრიგორ დაპსის რელიეფში და ამდენად, იგი ამ ხანით თარიღდება.

კვემით ენახავთ, რომ ატენის სიონის სარესტავრაციო სამუშაოები X ს-ის 80-იანი წლებით განისაზღვრა და ამდენად, გრიგორ დაპსის სკულპტურაც ამ ხანაში უნდა შესრულებინათ<sup>8</sup>.



სურ. IV. ატენის სიონი. ორფიგურიაანი ქტიტორული რელიეფი ჩრდილოეთ ფასადზე


2. ტაძრის დასავლეთ ფასადის შვერილებზე მეორე სამშენებლო პერიოდის ხელოსნის კიდევ ერთი ქანდაკებაა დაცული სარკმლის თავსართავის დეკორში ჩართული ბიუსტის სახით (სურ. V).

მაშაკაცი წვერულვაშიანია, თმა მოკლედ აქვს შეჭრილი. ტანზე მოსავს გულწრტილიანი ქარგით მოჩითული სამოსი. ეს პიროვნება ხელო-

<sup>7</sup> გ. ჩუბინაშვილი. X და XI საუკუნეთა მიჯნაზე წარმოშობილი ქართული ჰეიდური ხელოვნების სასიათის საკითხისათვის. ქს. ტ. 2. თბ., 1948. გვ. 65-90.

<sup>8</sup> Абрамшвили Г. В. Два стронтельных периода... с. 32-55.

სანი რომ ყოფილა, ორი მინიშნებით დასტურდება: მარჯვენა ხელი მოხრილი აქვს და მკერდის წინ ქვის საკვითი იარაღი უჭირავს. მეორე მინიშნება კი ის წარწერაა, რომელიც ამ გამოსახულების ჩამოსწვრივ, წასაკითხ სიმაღლეზე, ქვის ფილაზეა ამოკვეთილი. პირველი, რაც თვალში მოხვდება მნახველს, ეს არის არაპროპორციულად დიდი თავი, რომელიც ულაზათოდ არის მორგებული საკმარა პატარა ტანზე. ძალზე წვრილია მოხრილი მკლავი. იგი მომცრო მტევენით მთავრდება. ნ. ჩუბინაშვილი ამ ქანდაკებას ხელოსნის გამოსახულებად მიიჩნევს<sup>9</sup>.



სურ.V. ატენის სიონი. გერგოემ ერჰასანისძის რელიეფური ქანდაკება დასავლეთ ფასადზე

„ეს მე, გერგოემ ერჰასანის ძე, ვინც ამას კითხულობს, ღ(მრთ)ის მქანდაკებელი (მოიხსენე). ბაგრატ აფხაზთა მეფე როცა დედოფალს ქართველთა შეედავა და სატახტო უფლიცზე დაიკა-ვა...“<sup>10</sup>

რელაური ჩანს, ზ. ალექსიძის იდენტიფიკაცია — მკვლევარი მეფე ბაგრატ III-თან აიგივეებს ამ წარწერაში დასახელებულ მეფეს (978-

არაერთი მხრივ საყურადღებო აღმოჩნდა სომხურენოვანი, შვიდსტრიქონიანი წარწერაც, რომელიც ამ ბიუსტის ჩამოსწვრივ, ერთ ფილაზეა შესრულებული. წარწერა მთლიანად წაიკითხა ზ. ალექსიძემ:

1. ღაქსუ ხუ ფხეიქიუმ
2. სრისასანა ირქი: ირ
3. გაქსუ კაიოქაქსუ ა(სათოიბ)ი ნსკაქ
4. იქსუ [ქიქხჰხჰ] ირ ბარქიქასთ აქიქსაქა
5. ვ მთაქათორქსუ თიქსინქი ქიქს
6. ვ ხუ-არქაქსუ ხუ გა... სთ იქი
7. ქიქსუ კაქსუ იქ(?)

1014). საფულისხმობა, რომ „მატიანე ქართლისაჲ“ უფლისციხესთან დაკავშირებულ შიდაპოლიტიკურ სიტუაციაზე ასე მოგვითხრობს: მეფე ბაგრატი „მოვიდა უფლისციხეს, აღიღო ციხე ღედისაგან მისისა, დაყენა ღდენი და განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი“<sup>11</sup>.

ზ. ალექსიძის გამოანგარიშებით, ბაგრატ III-ს უფლისციხე უნდა დაეკავებინა 982-986 წლე-

<sup>9</sup> Чубинашвили Г.Н. Хандиси. Тб., 1972. между таб.20 и 21.

<sup>10</sup> ზ. ალექსიძე ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ.,

1970. გვ.50-60.

<sup>11</sup> მათიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. I. თბ., 1955. გვ.276.

ბის ფარგლებში, უფრო კი იგი 982 წლისკენ იხრება<sup>12</sup>. ეს თარიღი დაზუსტებას საჭიროებს.

გერგიუმ ერპასანის ძე ბაგრატ III-ის მიერ უფლისციხის აღებას მხოლოდ იმიტომ აღნიშნავს, რომ იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი ამ ისტორიული ფაქტით მიენიშნებინა თავისი საქმიანობის დრო. გერგიუმის წარწერით ირკვევა,



სურ.VI. ატენის სიონი. თოდოსაკის რელიეფური ქანდაკება ჩრდილოეთ ფასადზე

რომ იგი მონაწილეობდა ატენის სიონის სარესტავრაციო სამუშაოებში და ამქარში ქანდაკების კვეთა ევალებოდა. ამიტომაც არის, რომ იგი თავის თავს „მოქანდაკეს“ უწოდებს. გერგიუმის განცხადება, რომ იგი „ღმრთის მოქანდაკეა“, გვაფიქრებინებს, რომ მას უნდა გამოეყვითა მაცხოვრის ის ერთადერთი სკულპტურული გამოსახულება, რომელიც ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის შვერილის ცენტრალურ წახნაგზეა განაწი-

ლებული<sup>13</sup>. შესაძლოა, გერგიუმს სიონის სხვა ქანდაკებებიც აქვს შესრულებული და მათ შორის, იქნებ ავტოპორტრეტულიც კი იყოს სარკმლის თავსართში ჩართული ქანდაკება. ცხადია, ყოველივე ეს ვარაუდების სფეროს ვერ გაცდება, მაგრამ მაცხოვრის რელიეფი რომ სწორედ გერგიუმ ერპასანის ძეს შეუსრულებია, ეს მისი წარწერით დასტურდება.

რაც შეეხება ბაგრატ III-ის მიერ უფლისციხის აღების თარიღს, ვფიქრობთ, 982 წელი არ უნდა შეფერებოდეს სინამდვილეს. საქმე ის არის, რომ ამ ისტორიული ფაქტის თარიღის განსაზღვრას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც მას უკავშირდება საქართველოს ისტორიის არაერთი საყურადღებო საკითხი.

ატენის სიონის შესწავლისას მეორე სამშენებლო პერიოდის სკულპტურათა თარიღის გარკვევისათვის გავითვალისწინეთ თოდოსაკის ხელმოწერილი ერთადერთი რელიეფი, რომელიც დავით გარეჯელის ცხოვრების ერთ სასწაულო მოქმედებას ასახავს. დავითის განუყრელი მოწაფე — ლუკიანე სასწაულებრივად მოვლენილ ირემს წველის. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ეს თემა გარეჯის სამხატვრო კერაში წარმოიქმნა, 983 წელს პირველად აქვე აისახა და თავის დროზე გახდა მთავარი არგუმენტი იმ დასკვნისა, რომ VII ს-ის სიონის მშენებელი ვერაფრით ვერ იქნებოდა თოდოსაკი, რომელიც მხოლოდ 983 წლის შემდგომი პერიოდის რესტავრატორად შეგვეძლო მიგვეჩინა<sup>14</sup>.

ის ფაქტი, რომ დავით გარეჯელის ცხოვრების თემა, სადაც ლუკიანე ირემს წველის, ქართულ სახვით ხელოვნებაში მხოლოდ 983 წელს გაჩნდა, გვარწმუნებს, რომ იგი ატენის სიონის რელიეფურ ქანდაკებაშიც მხოლოდ 983 წლის შემდეგ შეიძლება გამოეყენებინათ. ამდენად, ბაგრატ III-ის მიერ უფლისციხის დაპყრობა მხოლოდ 983-986 წლებით უნდა განისაზღვროს და ატენის სიონის რესტავრაციის წლებადაც დროის ეს მონაკვეთი უნდა მივიჩნიოთ.

<sup>12</sup> ზ. ალექსიძე. ატენის სიონის... გვ.56.

<sup>13</sup> Чубинашвили Г.Н. Памятники ... таб.52; Абрамишвили Г.В. Два строительных периода... илл. II.

<sup>14</sup> Абрамишвили Г.В. Два стронительных периода... с.32-43.

3. მესამე ხელოსნის სკულპტურა თავის დროზე მოთავსებული ყოფილა ტაძრის ჩრდილოეთ ფასადის დასავლეთ ნიშაში (სურ. VI). სამწუხაროდ, ჩვენი საეკლესიო დასაწყისში იგი ვილაცას ამოუღია კედლიდან და დღემდე უცნობია მისი ბედი<sup>5</sup>. ამჟამად ხელთ გვაქვს მხოლოდ მისი ფოტო, რომელიც გ. ჩუბინაშვილის ნაშრომშია გამოქვეყნებული<sup>6</sup>.

ქანდაკება მისი დაკარგვის დროსვე ნაკლები ყოფილა. გამოსახულება წელზევით არის შემორჩენილი. მამაკაცი სახით ოდნავ მარცხნივაა შებრუნებული, არაპროპორციულად პატარა ხელებიც მარცხნივ აქვს გაწვდილი, როგორცა ჩანს, მის წინ გამოსახული წმინდანისაკენ. საკმაოდ დიდი თავი დაბალი ყელით მიერთებულია პატარა ზომის ტანთან. მამაკაცი მოკლედ დაყენებული წვერულეაშინია, მოკლედვე შეკრებილი თმა შუბლთან შუაზე აქვს გადაყოფილი. ეს რელიეფიც ისეთივე სტილისტური ნიშნებით ხასიათდება, როგორითაც გრიგორ დაპსისა და გერგიუმ ერჰასანის ძის გამოსახულებები და, ცხადია, ყველა ისინი X ს-ის 80-იანი წლების სკულპტურის ნიმუშია.

მესამე ქანდაკების მარცხენა მხარეს ქვემნიწურით, დიდი ზომის სომხური გრაფემებით განსაზღვრული წარწერაა ამოკვეთილი, რომლისგანაც დღესათვის მხოლოდ ორი ასოა დარჩენილი. ეს ასოებია: ՌԴ - „ოდ“- ამ ფრაგმენტირებული წარწერის აღსადგენად ერთი, ჩვენი

აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ:

დღემდე არავის მოუქცევია ყურადღება იმ უჩვეულო გარემოებისათვის, რომ თოდოსაკი, რომელიც ვერ VII ს-ის ტაძრის მშენებლად იყო მიჩნეული<sup>7</sup>, ხოლო შემდეგ გაირკვა, რომ იგი X ს-ის რესტავრატორი ყოფილა<sup>8</sup>, რატომღაც აქ არ გამოუსახავთ. უგულბელყვეს სარესტავრაციო სამუშაოების ხელმძღვანელი, რომლის საქმიანობის შესახებ გვაუწყებს ტაძრის თვალსაჩინო ადგილზე, დიდი გრაფემებით ამოკვეთილი და განაწილებული, წითლად შეღებილი სომხური წარწერა. სამაგიეროდ, ტაძრის კედელზე განათავსეს თოდოსაკის ამქრის წვერები - გრიგორ დაპსი და გერგიუმ ერჰასანის ძე. ასეთი უჩვეულო, თითქმის აუხსნელი გარემოება გვაფიქრებინებს, მესამე ქანდაკების ნაკლები წარწერა ასე აღვადგინოთ: [Թ]ՌԴ[ՈՍԱԿ] - „[თ]ოდ[ოსაკ]“. ჩვენი აზრით, ასეთ აღდგენას რეალური საფუძველი აქვს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ „ოდ“ გრაფემებით თოდოსაკის სახელის აღდგენა შეიძლება, არამედ იმ ნიშნითაც, რომ შეუძლებელი იყო ხელოსან რესტავრატორთა შორის არ გამოესახათ თოდოსაკი.

ამგვარად, ატენის სიონის მეორე სამშენებლო პერიოდის მრავალრიცხოვან სკულპტურათა შორის სამი ხელოსნის პორტრეტული ქანდაკებებიც ჩაურთავთ, რომელთა შორის, როგორც გაირკვა, თოდოსაკის ქანდაკებაც მოუთავსებიათ.

<sup>5</sup> Чубинашвили Г. Н. Памятники ... с. 158.

<sup>6</sup> იქვე ტაბ. 55(2).

<sup>7</sup> იქვე გვ. 114-25.

<sup>8</sup> Абрамишвили Г. В. Два строительных периода... с. 49.

GURAM ABRAMICHVILI

LES PORTRAITS EN SCULPTURES DES ARTISANS - RESTAURATEURS  
DU SION D'ATÉNI

L'étude du système décoratif du Sion d'Aténi a révélé que les façades du temple gardent des sculptures de trois différentes périodes - V, VII et de la fin du X siècle. La raison en furent les travaux de restaurations y déployés, dirigés par l'artisan Arménien de nationalité - Todossac.

Dans de nombreuses sculptures de la seconde période d'édification on voit insérées les images des maîtres-artisans aussi. Sur la gorge de la coupole il y a une sculpture représentant Grégor Dapse sur les

genoux devant un saint (photo I) qui évoque les sculptures du VII s. de Djvari (photo III) de Mtskhéta et d'Aténi (photo IV).

Le buste d'un autre maître est inséré dans le décor de la fenêtre de la façade d'ouest (photo V). L'inscription arménienne en bas nous apprend, que la sculpture du Sauveur fut exécutée par le fils de Guergume Erhassan juste quand le roi des Géorgiens Bagrat III enleva Ouplistsikhé à sa mère, la reine Gourandoukhte. Il s'est trouvé que ce fait eut lieu dans les années 983-986.

La troisième sculpture considérée perdue pour le moment non est complète. On y voit représenté le dirigeant des travaux de la seconde période de l'édification - Todossac. Sur le photo on voit l'inscription arménienne en fragments, qui se restitue comme "Todossac" (photo II).